

The logo for 'funtime' is displayed in white lowercase letters on a teal rectangular background. The letter 'f' is stylized with a horizontal bar that extends to the right and then curves down to form the letter 't'.

ქართვედი „კონკია“ ქეთევან ქემოკრიძე და მოჭადლოებური ჰორივუდი

ავტორი: ნონა დათეშიძე ოთხშაბათი 22:00 | 24.06.2015



მთავარია, იმედი არ დაკარგო, შრომა არ დაგეზაროს და ყოველთვის აკეთო ის საქმე, რაც გიყვარს და კარგად გამოგდის – მე, ამ პრინციპით ვცხოვრობ და მიმართლებს.

დაბადების ადგილი: თბილისი

საცხოვრებელი ადგილი: ვენა, მილანი, ბარსელონა

ოჯახი: მეუღლე სანდრო შედეგია და შვილი, 3 წლის დეკა შედეგია

მეცხოვრობანო ქეთი ქემოკრიძე წლების წინ წავიდა უცხოეთში და დღეს იქ საკმაოდ ცნობილი მომღერალია. ნოსტალგიური ბუნების მიუხედავად, სამშობლოდან შორს ბედნიერია, უამრავი მიწვევაც აქვს და საყვარელი მეუღლეც ანებივრებს

„ეგონათ, რადგან უცხოეთში ვცხოვრობ და ვმოღვაწეობ, უცხოელს ავირჩევდი ცხოვრების მეგობრად, მაგრამ, ასე არ მოხდა. ჩემი რჩეული ქართველია – სანდრო შედეგია. უდამაბესი ქორწილი გვქონდა. საქორწილო კაბა ბარსელონაში შევიძინე, სანდრომ კი საქორწილო სამოსი მადრიდში იყიდა.

ქორწილი თბილისში გვქონდა. ისეთი გადატვირთული სამუშაო დღე დაემთხვა, საკუთარ ქორწილს ძრავს ჩამოვუსწართ საქორწილო მოგზაურობაში წასვლა კი ვერ მოვახერხეთ. ვაშინგტონში როსინის „სევირიე დარაქში“ უნდა მემღერა - ეს იყო

ჩემი ამერიკული დებიუტი და ამაზე უარს ვერ ვიტყოდი“.

„ჩემი შვიდი, რუკა, ახდენილი ოცნებაა. ბავშვმა სრულიად შემთხვევით ცხოვრების რიტმი. ვცდილობ, სანიმუშო დედა ვიყო. ხშირად დამყავს სპექტაკლებზე. კურსებიდან გაოცებული და შეშინებული თვარებით მიყურებს, უცნაურად შეღებიღს და გადაპრანჭულს რომ მხედავს.“

„სურ გადაადგილებებში ვარ, მაგრამ ჩემი საქმე ისე მიყვარს, დაღდას ვერ ვგრძნობ. ძალიან შთამბეჭდავია ბევრი ქვეყნისა და ქარაქის ნახვა, საინტერესო ხადხის გაცნობა და მათთან ურთიერთობა.“

„ჩემი სპექტაკლები ცნობილ ვენეციურ კარნავალს დაემთხვა. ის დღეები არასდროს დამავიწყდება. სხვა სამყაროში მეგონა თავი. ორი თვის განმავლობაში მანქანა თვარით არ მინახავს, ფეხით ან გონდოლებით მიწვევა გადაადგილება. ვენეციას მოჰყვა ბარსელონა, შემდეგ ავსტრია, მერე ვაშინგტონი და ამის შემდეგ ირანდიაში ვექსფორდის ფესტივალი. არასდროს დამავიწყდება ბერლინში გამართული საქვერმოქმედო საღამო, სადაც ვიმღერე. იქ ბირეთის ფასი 500 ევროდან იწყება და კონცერტს მთელი გერმანული ერიტა და პოლიტიკური ფიგურები ესწრებიან. ასე რომ, ყველა ქარაქთან განსაკუთრებული მოგონებები მაკავშირებს.“

„სრულიად შემთხვევით აღმოვჩინდი მსოფლიოში ცნობილი ესპანელი რეჟისორის – კარლოს საურას ფილმში „მე, ღონ ჯოვანი“, დრინა ფერარემეს როლზე, ვის მიხედვითაც შეიქმნა მოცარტის „ღონ ჯოვანში“ ღონა ედვირას სახე. გადაღებები მიმდინარეობდა რომში, ოპერატორი კი გახდდათ ოსკაროსანი ვიტორიო სტორარო. ის დღეები დაუვიწყარ მოგონებად ჩაიწერა ჩემი ცხოვრების დღიურში. ფილმმა ტორნტოსა და რომის ფილმის საერთაშორისო ფესტივარებზე გამარჯვება მოიპოვა.“

„ნოსტარგია ხშირად შემომანვეება ხორმე და თბილისში ჩამოსვრისას ჩემს სიხარულს საზღვარი არ აქვს. განსაკუთრებული, საოცარი ემოცია მეუფდება, როცა ქართულ სცენაზე ვმღერი, როცა ქართველი მაყურებელი მიყურებს და მისმენს. თუმცა, ჩემი გადატვირთული გრაფიკის გამო, ნოსტარგიისთვისაც აღარ მრჩება დრო.“

ქეთი პდასილო დომინგოს ერთ-ერთი რჩეული მომღერალია. „დომინგომ თავად დამირეკა და მითხრა, ჩაადარე ტანსაცმელი და გადმოფრინდი საქართველოში, ბირეთი უკვე გამოგიგზავნო. ერთ საათში მოვემზადე, ჩავრავდი და 16-საათიანი მგზავრობის შემდეგ ჩავალწიე ბათუმამდე. მაესტრო სიხარულს ვერ მარავდა, მითხრა, ყოჩალი გოგო ხარო“.

„ამერიკაში, კერძოდ, ჰორივუდში, შევასრულე კონკიას როლი. ამერიკურმა პრესამ ამ როლის საუკეთესო შემსრულებლად დამასახელა. წერდნენ: ქართველი კონკიამ ნამდვილად აჯობა ამერიკელ კონკიას, ქეთევანის კონკიამ, ნამდვილად მოგვაჯადოვა ამერიკელებით. ეს ჩემთვის ყველაზე დიდი შეფასება და აღიარება გახდდა“.

„იაპონიის პრინცი „კარმენის“ პრემიერაზე მოვიდა. სპექტაკლით აღფრთოვანდა და შემდეგ ჩემთან შეხვედრა მოითხოვა. მკითხა, საიდან ხარო. რომ ვუპასუხე, საქართველოდან-მეთქი, გაეღიმა: მე ვიცი ბევრი რამ საქართველოს შესახებ და ერთ საიდუმლოსაც გაგიმხედ - ქართულ ღვინოსაც ხშირად ვაგემოვნებო. ძალიან კეთილგანწყობილი იყო. წარმოიდგინეთ, როცა პრინცი მოდის შენს მოსასმენად,

რამხელა პატივია, თან, თუ ქართულ ღვინოსაც აგემოვნებს - ეს ხომ მთლად „პიკია“.

ახდახანს ცნობილმა იტალიურმა საგამომცემლო სახელმა წიგნი გამოსცა. პადუის უნივერსიტეტის მკვლევარმა სადვატორე პუჯონიმ ეს წიგნი მიუძღვნა ქეთევანს, როგორც საფოსტო პარტიის შემსრულებელს. წიგნი განხილულია ფაონისგან მიტოვებული საფლობე შექმნილი პოეზიის, პროზის, თეატრის, საოპერო, მხატვრობის, ქანდაკების და ბადეტის შედეგები, რადგან სწორედ ეს მითოლოგიური გმირი გახდა ბევრი შემოქმედის მუზა. ავტორმა წიგნი ქეთევანს პადუაში ვენეტოს ფესტივალზე გადასცა.

„მთავარია, იმედი არ დაკარგო, შრომა არ დაგებაროს და ყოველთვის აკეთო ის საქმე, რაც გიყვარს და რაც კარგად გამოგდის. შედეგად კი წარმატებას უნდა დაელოდო – მე, ამ პრინციპით ვცხოვრობ და მიმართებს კიდევ.“

„ბავშვობის ბევრი ოცნება ავისრულე, ვიყავი უამრავ დამაზ ადგილას, რომლებიც მხოლოდ სურათებში და რუკაზე მქონდა ნანახი. დავათვალიერე მსოფლიო შედეგები, რომელთა სურათებსაც ადრე წიგნებიდან ვჭრიდი და კედელზე ვაკრავდი. ჩემი საოჯახო სცენიდან გადავინაცვლე მსოფლიოს მნიშვნელოვან სცენებზე და თუ ბავშვობაში ოჯახი და ახლობლები მიკრავდნენ ტაშს, ახდა აპროდისმენტებს უდიდესი პუბლიკისგან ვიღებ.“

„მომავალში აუცილებლად დავბრუნდები ჩემს ქვეყანაში და გავაგრძელებ ცხოვრებას ჩემს პატარა ოჯახთან ერთად.“